ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3585848

გაცემის თარიღი: 03/10/2017 გაცნობის თარიღი: 03/10/2017

განცხადების ნომერი: AR1544461

შემოსვლის თარიღი: 26/09/2017

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.15.05.004.092
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 / ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 28 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ზალდასტანიშვილი (ყოფ. ფერხული და ყოფ. ლიბკნეხტი), N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 მიმდებარედ
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 2009.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ე.ს. ამხანაგობა "მთაწმინდა რეზიდენსი" (205333469)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **III კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- **ესკიზის წინასწარი შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- კახაბერ კახიშვილი პ/ნ 01031005063
- მისამართი: თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 5ა ბ. 38

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ჯამაგიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, 8 მარტის ქ. N38/8 მარტის ქ. N28/ზალდასტანიშვილის ქ. N26/8 მარტის ქ. N38-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N39, 28.09.2017წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, 8 მარტის ქ. N38/8 მარტის ქ. N28/ზალდასტანიშვილის ქ. N26/8 მარტის ქ. N38-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- შენიშვნა:

1. გაცნობებთ, რომ ესკიზის წინასწარი შეთანხმებისას სამსახური განიხილავს ფოტომონტაჟის მიხედვით განსახორციელებელი მშენებლობის მხოლოდ ქალაქგეგმარებით შესაბამისობას არსებულ განაშენიანებასთან. კერძოდ, შენობის ვიზუალური მხარე შეესაბამება თუ არა არსებულ განაშენიანებას,ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ხოლო, სხვა საკითხების შესწავლა, რაც, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ესკიზის წინასწარი შეთანხმების დროს არ ხდება.
2. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არასასურველი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, გეძლევათ რეკომენდაცია, საჭირო დოკუმენტების/პროექტების სრულად დამუშავებამდე შესწავლილი იქნას განსახორციელებელი/საპროექტო სამშენებლო სამუშაოების თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის მე-15 მე-16 34-ე 35-ე მუხლებთან და სხვა წესებთან/ნორმებთან შესაბამისობა.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

იელისი 18, 2017

მინდობილობა

ამხანაგობა ე.ს. "მთაწმინდა რეზიდესი"-ის (ს.კ. 205333469) თავმჯდომარე, -------------- „მკ დეველოპმენტი" (ს.ნ. 205049712--------------------), ენდობა კახაბერ კახიშვილს (27.06.1986, თბილისი, პ.ნ. 01031005063), რათა მან წარმოადგინოს და დაიცვას ამხანაგობის ინტერესები სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში, კერძოდ კახაბერ კახიშვილი უფლებამოსილია კომპანიის სახელით წარადგინოს ნებისმიერი განცხადება/ დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთზე ს.კ. 01.15.05.004.092 (მათ შორის პროექტის შეთანხმებაზე, მშენებლობის ნებართვის მიღებაზე და სხვა), მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, მიიღოს ამხანაგობისთვის განკუთვნილი ან/და ამხანაგობის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტაცია და განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამხანაგობის ინტერესების განხორციელებასთან.

მინდობილობა გაცემულია ვადით და ძალაში 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.



თავმჯდომარე